№ 95 მაისი 14, ხუთშაბათი 1887 მაისი 14, ხუთშაბათი № 95


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თუვე | მან. კ. | თუვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 17 მაისს.

ელისაბედ გრიგოლის ასული და პოლკოვნიკი ივანე ბესარიონის-ძე ხაგინოვი სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს 16 მაისს, დილის 10 საათზედ მობრძანდნენ ქაშვეთის ეკკლესიაში, სადაც გადახდილი იქმნება ორმოცის პანაშვიდი მიცვალებულის გენერალ-ლეიტენანტის ალექსანდრე დიმიტრის-ძის ხაგინოვის მოსახსენებლად.

ტფილისი, 13 მაისი

ბოსნიის საქმის გამო გაცხარებული და გამწვავებული ბაასი გერმანიისა და ავსტრიის გაზეთების შორის ჯერაც არ შეწყვეტილა. სხვა გაზეთებმაც, რასაკვირველია, ბანი მისცეს ამათ და დღეს ეს საქმე სალაპარაკოდ გაიხადეს. ბევრი თავს იტეხს და ვერ მიმხვდარა,— რა ჰქონდა გულში ბისმარკსა, ვინ ატანდა ძალასა, რომ ეს დავიწყებული, არხივების მტვრით ჩაფლული „ბოსნიის საქმე“ გამოამზევა, ქვეყანას დაანახვა და ამის გამო ერთი ამბავი ასტეხა. ზოგი რას ფიქრობდა, ზოგი რასა. უმეტესობისთვის კი ეს ამბავი მაინც ისეთივე გამოცანა იყო, როგორც ბისმარკის ბევრი სხვა უცნაური და ძნელად მისახვედრი მოქმედება. ყურადღების ღირსია ერთ ინგლისურ გაზეთის „St.-James Gazette“-ის აზრი, რომელიც ცოტა არ იყოს ნათელსა ჰფენს ამ საქმესა.

ბისმარკი, როგორც ნამდვილი დიპლომატი, არავის ენდობა და თვით ახლო მეგობარსაც ეჭვის თვალით უცქერის. ასე უყურებდა ბისმარკი ავსტრიასაც, თუმცა მეგობრული განწყობილება და მტკიცე კავშირი ამ ორს სახელმწიფოს შორის არა ერთხელ ყოფილა საქვეყნოდ შემოწმებული. ბისმარკს ამ ბოლოს დროს ცოტა შიში შეჰპარვია გულში,—ვაი თუ ავსტრიამ მიღალატოს და რუსეთთან ჩუმად საქმე დაიჭიროსო. ეს შიში უსაბუთოც არ ყოფილა. როგორც გვარწმუნებს იგივე ინგლისური გაზეთი, რუსეთსა და ავსტრიას შორის ჩუმად ვითომ კიდეც ყოფილიყოს რაღაც მოლაპარაკება.

თუ გერმანია წინააღმდეგი იქნება და ჩვენ საქმეში ჩამოერევა, საფრანგეთი ხომ მზადა გვყავს, საფრანგეთს ჩვენი მხარე უჭირავსო.

ბისმარკს ასეთი ამ ამბავი, რასაკვირველია, არაფრად იამებოდა. ასეთი ამბავი მართლა რომ შესაძლო იყო, ამაში ეჭვი არ არის, რადგან ავსტრიის პოლიტიკოსებს წარსულშიაც ჩაუდენიათ ასეთი საქმე და სწორედ გაჭირების დროს გადასდგომიან გერმანიასა. მაგალითად, 1877 წელსა, როდესაც რუსეთი ოსმალეთთან ომს აპირებდა, ბისმარკი ასეთს თანხებს უწყობდა თავად გორჩაკოვს: ხმას არავის ამოვაღებინებ, რუსეთმა რაც უნდა ჩაიდინოს აღმოსავლეთში, ოღონდ პირობა მომეცით და ხელს ნუ შემიშლით, რომ საფრანგეთს ხელმეორედ შევესიო და სრულიად მიწასთან გავასწოროვო. ავსტრიის მაშინდელმა პირველმა მინისტრმა ანდრაშიმ ეს რომ შეიტყო, მაშინვე მიჰხვდა რა განზრახვაცა ჰქონდა ბისმარკსა და ეცადა ეს საქმე როგორმე სხვა ნაირად დაეტრიალებინა. ანდრაშიმ თავის მხრით აღუთქვა გორჩაკოვს, რომ თუ რუსეთი ომს გაუმართავს ოსმალეთს, ავსტრია განზე იდგება და ხმას არ ამოიღებსო. გორჩაკოვს ანდრაშის პირობა უფრო მოეწონა, რადგან არ უნდოდა გაეწირა საფრანგეთი და გერმანიის ხელში ჩაეგდო.

ამ სახით, ანდრაშის წყალობით, ბისმარკს ამ ათის წლის წინად პლანები შეეშალა და სურვილი ვერ აუსრულდა. ბისმარკმა ანდრაშის ღალატობა გულში ჩაიმარხა და, რასაკვირველია, ცდილობდა როდისმე მოეგონებინა და ჯავრი ეყარა. ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ ანდრაშის ასეთს საქციელს მადიარები არაფრად მოიწონებდნენ.

აი რა ტკივილი აწუხებდა ბისმარკს, რომ საქვეყნოდ აშკარავებდა ამ დავიწყებულ «ბოსნიის საქმესა»! ბისმარკს უნდოდა თვალები აეხილებინა მადიარებისათვის და ეთქვა: აი, იცოდეთ, ვინ არის ანდრაში, როგორ იცავს თქვენს ინტერესებს, უფრთხილდით, თუ, ვინიცობაა, ავსტრიის მეთაურობა კიდევ ამისთანა მინისტრებმა ჩაიგდეს ხელშიო!

## ახალი ამბავი

*** დღეს, 14 მაისს, დილის 10 საათზედ ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადო წლიური კრება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა. კრებას მოხსენდება ანგარიში ამ საზოგადოების მოქმედებისა წარსულის წლის განმავლობაში და ზოგიერთი სხვა საყურადღებო საგნებიცა.

*** დიდი მზადებაა სახალხო სეირნობისათვის, რომელიც მუშტაიდის ბაღში იქმნება გამართული ამ კვირას. ლოტარეიაში სათამაშებლად საკმაოდ ბლომად შეგროვილა ნივთები და მათ შორის ბევრი ძვირფასი ნივთიც ურევია: ვერცხლის შანდნები, ვერცხლის კოვზები, ვერცხლის საათი, ტაბლაზე დასადგმელი უცნაურის მოწყობილობითა, მრავალი საყმაწვილო სათამაშოები, ქალების სამკაული ნივთები, კულები, აზარფეშები, ღვინოები საუკეთესო სარდაფებისა და სხვ. და სხვანი. თუ ამინდმა ხელი შეუწყო, იმედია, რომ დიდ-ძალი ხალხი დაესწრობა ამ სეირნობაზე, საკმაოდაც ისიამოვნებს და წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებასაც ხელს მოუმართავს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ქართველს ყმაწვილს კაცს ქაღალდი შეუტანია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში და უთხოვნია, რომ სუბსიდიას თუ დამინიშნავს საზოგადოება, მე ვიკისრებ სამეურნეო გაზეთის ბეჭდვასა და ამ საგნის თაობაზედ თხოვნასაც გავგზავნი მთავრობასთანაო. ჩვენ გვითხრეს, რომ ამ ახლად განზრახულს სამეურნეო გაზეთს სახელად ერქმევა „თაველი“ (პურის თავ-თავი).

*** სოლოლაკის დიდი არხი წვიმის წყლისა და უწმინდურებისათვის ალაგ-ალაგ ჩაქცეულა. სოლოლაკის

# ფელეტონი

ედიშერ ქველბაქიანი

მოთხრობა

(შემდეგი*)

როცა სიების კითხვა გათავდა, წამოდგა ბანკის მმართველი და ასე დაიწყო: „ბატონებო, იქნება ძალიან საფუძლიანადაც იყოს ეგ სია შედგენილი; მაგრამ მე მაინც ბევრს მად ჩაწერილზე იქვი უნდა გამოვაცხადო, რადგან, თვითონ მოგეხსენებათ, მაგათ არა ერთ გზის უღალატნიათ. მაგ სიიდან ორმოც-და-ათამდის მაინც უნდა გამოვრიცხოთ და იმათ მაგიერად, თუ ვინმე სხვები, უფრო ბეჯითი მომხრენი არ ვიშოვნეთ, საქმეს წავაგებთ.

— არა მგონია, აწ კიდევ ვინმე მოვიდეს სოფლებიდან. ველარც მოგვისწრებენ, რადგან ხვალ, ან ზეგ არჩევანი უნდა მოხდეს უსაცილოდ,—თქვა მასპინძელმა.

— განა არ შეგვიძლია რამდენსამე დღეს კიდევ შევაჩეროთ კენჭის-ყრა ყვირილითა და დაეი-დარაბის ატეხითა?—იკითხა ბანკის მმართველმა.

— მარტო მაგ ხრიკებს ვერ ვენდობით—გამოცდილებით უპასუხა მასპინძელმა.—შეიძლება ბევრს ყვირილს შემდეგ ვინმე ხერხიანმა წამოავლოს საკენჭო კოლოფებს და სტოლზე წამოდგას. ჩვენს საზოგადოებას ისე ეხალისება კენჭის ჩაგდება კოლოფში, რომ უკან დახევა აღარ შეიძლება.

— თუნდ ეგრეც რომ იყოს, განა აქვე ქალაქში არ შეგვიძლია ორმოცის უფრო საიმედო კაცების შოვნა? განა ცოტანი არიან ქუთაისში იმისთანები, როცა გამოეწყობიან ჩოხა-იარაღით, თავადის შვილებში ვერ დაარჩევ? ერთი მეფაეტონე ვიცი, სახის სიწმინდით და მოყვანილობით თავადიშვილს არ ჩამოუდგება უკან; თვითონ ჩამომავლობით აზნაურია. ამდენს საზოგადოებაში ვინ რას იცნობს იმათ? ბანკის სია ხელთა გვაქვს, იქ ჩაწერილის წევრების მაგიერობა გავაწვეინოთ და ჩავაყენოთ მეკენჭეებში— თქვა სვიმონ კვიმატაძემ, რომელიც ითვლებოდა ქუთაისის წარჩინებულ ადვოკატად. იმას ბოზ-თვალასაც ეძახდენ, რადგან თვალების აქეთ-იქით ბრიალი იცოდა.

— ეს მართლაც კარგი ხერხი მოიგონა სვიმონმა,—განაგრძო მასპინძელმა:—მაგრამ თუ ცოტა საფანელიც ზედ არ დავძინეთ, უანგაროდ არავინ მოგვეკარება. ხომ იცით, ახლა როგორი დროა? თუ არა მიეცი-რა, ძმაც რომ იყოს, ისიც გვერდს აგიქცევს.

ამ დროს კუთხიდან წამოდგა დაღერემილი სტუდენტი. ეს იყო ედიშერი.

— ბატონებო, — დაიწყო იმან: — მე იქნება ნებაც არ მქონდეს თქვენს საქმეში გავერიო, რადგან ჯერ კიდევ სტუდენტი გახლავარ; მაგრამ, როგორც თქვენი თანამემამულე, არ შემიძლია გავჩუმდე და არ ვუსაყვედურო ამ განათლებულს კაცებსა“,— იმან მიუთითა ბანკის მმართველზე. „ნეტამც ყურები დამდგომოდა და, რაც თქვენ ამ საღამოს ილაპარაკეთ, ის არ გამეგონა,—უთხრა ბანკის მმართველს.—როგორ? თქვენ გინდათ სიყალბით საქმე გაიტანოთ? გინდათ მეკენჭეები მოისყიდოთ, უკანონო მოწმობები შეადგინოთ, მკვდრების ვექილობები გააკეთოთ ცოცხლების მახეში გასაბმელად? მაშ რიღათი გარჩეულხართ ძველი მექთამე მდივანბეგებისა და ჩინოვნიკებისაგან, იმათ გუნდში თუ დგებით? ეგ ხელობა ხომ იმათგან არის, დიდი ხანია, მოგონილი. ნუ თუ მეტი ყურადღება, მეტი გავლენა და ნდობა ვერ დაგიმსახურებიათ განათლებულს კაცებს ჩვენს საზოგადოების თვალში, რომ ქთამის გაულებლად ამოგირჩიოთ? მაშ რაღათ ატყუებთ ქვეყანას, ვითომც თქვენ გეჭიროთ ხელში უმაღლესი სწავლა-განათლების ბაირაღი და მოაფრიალებდეთ წინ ქვეყნის შესახედავად?... არა, ბატონებო, გულ-ახდით მოგახსენებთ, თქვენ უკადრისის საქმისათვის მიგიყვიათ ხელი და ნურც ფიქრობთ მაგ იარაღით თქვენს ძველს ჩინოვნიკებს აჯობოთ. როცა ისინი ბურთს გაიტანენ, მერე თქვენ ნიშნის მოგებით ასე გეტყვიან: „ჩვენ გვკიცხავდით და თქვენ უფრო მექთამეები ყოფილხართო. ყალბი მოწმობების შედგენა და საზოგადოების მოყიდვა თქვენ განათლებულმა კაცებმა შემოიღეთო.“ მაშინ რაღა გასამართლებელი პირი გექნებათ... თქვენ რომ იზვოზჩიკებისა და მედუქნების საშუალებით საქმე გაიტანოთ, რა უნდა უთხრათ მერე თქვენს შთამომავლობას, რა პირით უნდა შეხვდეთ ახალ თაობას, როცა თქვენი ბოროტ-მოქმედების კვალი თვალ-წინ ექნებათ და ეცოდინებათ, რომ გაიძვერების დასში ჩამდგარხართ?... მაგას არც უმაღლესი სწავლა-განათლება უნდოდა, არც ამდენის დროისა და ფულის ჩაღუპვა. განა მაგისთვის შეჰხაროდა თქვენი დედ-მამა, ნათესავები, მოკენჭენი და მთელი სამშობლო თქვენს გამოზდას, რომ ბოლოს იმ ზნეობითს სიბინძურეშივე ჩაგეყოთ ცხვირი, სადაც თქვენამდის იჩიჩქნებოდენ სხვა-და-სხვა მდივან-ბეგები, უჩასტკის ნაჩალნიკები და სუდია-კუკნები?..“

ამ აღტაცებულმა სიტყვამ საკვირველი სხვა-და-სხვა გვარი შთაბეჭდილება მოახდინა იქ დამსწრე საზოგადოებაზე. ბანკის მმართველი გველის ნაკბენივით გადიქცა. მასპინძელი, ფრიად გამოჩენილი თავადი თვალ-პრაწა ვაჩეშვილი, ცხელი ხაჭაპურივით დაიფშხალა, აგდების ნიშნად ხელები გადაპარჯყა. როგორც ეტყობოდა, „უჩასკის ნაჩალიკის“ და მდივან-ბეგის ცუდად ხსენება არ მოეწონა, რადგან თვითონაც ერთ დროს მდივან-ბეგად ყოფილიყო. მას აჰყვენ ისინიცა, ვისაც იმ დღეს ოც-და-ხუთ მანეთიანები ქონდათ მიღებული. ზოგი მათგანი ტუჩებს უბზუებდა პირ-და-პირ მოლაპარაკე სტუდენტსა, ზოგი მუქარის ნიშნად ულვაშებს იგრეხდა და გულში ასე იქადოდა: „გაელახავ, მამაჩემი ნუ წამიწყდება, გაელახავ!“

ყველანი ერთმანეთს შესცქეროდენ, თითქოს თვალებით ჰკითხავდენ: „აბა, რა უნდა უთხრან ამ ლაწირაკ ბავშვსაო!“ ხმას კი არავის იღებდა. მხოლოდ სვიმონ კვიმატაძემ, ამ ბოზ-თვალა ადვოკატმა, წამოიწია საპასუხოდ; ის ყველასთან და ყოველგან ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, რომ ჯერ მათი გულის პასუხი შეეტყო და მერე მათდა სასიამოვნოდ ელაპარაკნა.

— ედიშერ,—უთხრა მან:—შენ, რასაკვირველია, ბევრი კარგი აზრები წარმოსთქვი. არც ახალი ხილია ეგ ჩვენთვის. მაგისთანები ბევრი გაგვიგონია და თქვენზე წინათაც ვიცოდით; მაგრამ თეორია სხვა არის და ცხოვრების მოთხოვნილება კიდევ სხვა. ვისაც ჩვენს საზოგადოებაში უცხოვრია, უეჭველად დარწმუნებული იქმნება: მტერს თუ მტრის იარაღით არ ებრძოლე, ყოველთვის წაგებული და მოტყუებული დარჩები.

— ახირებულია, თქვენმა მზემ!— უწინააღმდეგა ედიშერმა. კამბეჩი რომ ტანის გასაგრილებლად ლაფში წვებოდეს, განა მეც იმას უნდა წავხედო? რატომ არ შემიძლია ცივს ან-

*) იხ. „ივერია“ № 94.

ქუჩაზევე ორს ადგილას ჩაწოლილია გზა-ტკეცილი და ამიტომ ეტლები ველარ დადიან. ზოგიერთს ალაგს უკვე დაუწყეს შეკეთება.

*** დღემდის ჩვენ, ქართველებს, არა გვქონდა იმისთანა ასპიდის ფიცრები, რომელზედაც ყოფილიყო დახაზული სწორე, პირდა-პირი ბადე წერისათვის და ამის გამო ჩვენი მოსწავლენი იძულებულნი იყვნენ ეწერათ ქართული ირიბად დახაზულს ფიცრებზედ. ეს დიდს დაბრკოლებას შეადგენდა მათთვის და ქართულს წერას ამახინჯებდა სათავეშივე. ეხლა ამ დაბრკოლებისათვის წამალი მოუნახიათ. ბატონს იზმიროვს, თანახმად პირობისა ბ-ნ გოგებაშვილთან, რომელსაც მისთვის თავისი ბადე მიუცია ნიმუშად, შეუკვეთნია ორი ათასი ასპიდის ფიცარი ერთის მოსკოველის ფაბრიკისათვის. ეს მომხდარა შარშან გაზაფხულზედ, მაგრამ საქმე ერთის წლით დაგვიანებულა, რადგანაც მეფაბრიკეს სახაზავის მაშინის შეკვეთა გერმანიაში დასჭირებია. ამ ჟამად კი ამ მეფაბრიკეს უკვე მიუღია მაშინა გერმანიიდგან და იზმიროვისათვის მოუწერია, რომ პირველ იენისისთვის შემოკვეთილს ფიცრებს ტფილისში მიიღებთო. მაშასადამე მომავალის სამოსწავლო წლისათვის ჩვენს სკოლებს ექმნებათ ქართულის წერისათვის საგანგებოდ დამზადებული ასპიდის ფიცრები იმავე ბადით, როგორიც არის ჩართული „დედა-ენის“ უკანასკნელს გამოცემაში. თუმცა სახაზავს მაშინას ცოტა ფული არ მოსდომებია, მაგრამ პირველიდგანვე ეს ფიცრები გაიყიდება იმავე ფასად, რა ფასადაც სხვა ფიცრები იყიდება, ესე იგი შუა-ტანის ფიცრები № 9 ეღირება ცალად ხუთი შაური და ნარდად ასი ფიცარი 22 კაპეიკად თვითოეული.

*** ბატონმა ლეისტმა ეს რამდენიმე კვირაა, რაც მიიღო ლეიპციჰიდგან თავისი თარგმანი ქართულის პოეტების ნაწარმოებისა გასასყიდად. თუმცა ქართველებში იშვიათმა კაცმა იცის ნემეცური ენა, მაგრამ ყველა ტფილელმა შეგნებულმა ქართველმა მოიპოვა ეს თარგმანი, ევროპულის სიმშვენიერით და ლაზათით დაბეჭდილი. მოიპოვა ჯერ იმისათვის, რომ წააქეზოს როგორც მთარგმნელი, ისე გამომცემელი ამ ჩვენთვის დიდის მნიშვნელობის საქმის განგრძობისათვის და მერე თავისის ბიბლიოთეკის დასამშვენებლად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პროვინციელი განათლებული დასი ქართველთა უკან არ ჩამორჩება ტფილელებსა და თვითოეულ სამაზრო ქალაქიდგან ათიოდე ეგზემპლიარს მაინც დაიბარებენ. წიგნი ღირს მანეთ ნახევარი. გამოგზავნაში არაფერი დაეხარჯებათ, თუ ერთად დაიბარებენ არა ნაკლებ ათის ეგზემპლიარისა. ფულის გაგზავნა შეიძლება თვით „ივერიის“ რედაქციაში, საიდგანაც ხელის-მომწერნი თავის დროზედ მიიღებენ წიგნებსა.

*** ამ თთვის 10-ს ტფილისის რკინის გზის სადგურში, მე-10 № საქონლის მატარებლით მოიტანეს საცოდავად დამტვრეული და ორივე ფეხებ მოგლეჯილი მკვდრის გვამი. როგორც შევიტყვეთ, ეს საცოდავი ყოფილა სიღნაღის მაზრიდამ სოფელ ნუკრიანიდამ, გვარად კოტე ზაქარიას-ძე ქართველაშვილი. ეს ქართველაშვილი რკინის გზის მე-5 დისტანციაში მსახურობდა მებუტკედ, მე-302 ვერსტზე. ორთქლით მატარებელს ქვეშ მოჰყოლია და მაშინვე გადაცვლილა. საცოდავის გვამი ტფ. საქალაქო სამკურნალოში გაუგზავნიათ და საქმე გამომძიებელისათვის გადაუციათ.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისის 1 გიმნაზიის მთავარ-დიაკვანს კონსტანტინე სემიჩს ამ თთვის 7-ს დილით გაუგზავნია სკოლაში თავის 12 წლის შვილი მიხეილი. ყმაწვილი თურმე სკოლაში არ მისულა და სადღაც გადაკარგულა. რამდენისამე დღის შემდეგ სოფ. ავჭალაში უნახავთ გლეხებს, გიორგი და მიხეილ ლომაძეებს: წიგნები იღლიაში ეჭირა და თრიალეთის მთაში მიმავალ მეცხვარეებს მისდევდაო. თუმცა მეცხვარეები ვერ უცვნიათ, მაგრამ ეტყობოდათ, რომ ქიზიყელები უნდა ყოფილიყვნენო.

ტფილისის მაზრის უფროსს მიუწერია თრიალეთის ბოქაულისათვის, რომ ჯეროვანი განკარგულება მოახდინოს, ყმაწვილი იპოვნოს და ტფილისშივე დააბრუნოს.

*** ბაქოს ქალაქის თავს დესპოტ-ზენოვიჩს დეპეშით გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-სათვის შემდეგი წერილი გამოუგზავნია: „ვაჭრებმა შემატყობინეს, რომ ერთს ტფილისის გაზეთში დაბეჭდილია წერილი, რომელშიაც ნათქვამია: 6 მაისს ბაქოში იარმუკობა არ დაიწყობა, ვაჭრებს არ მოელიან და სავაჭრო ადგილიც არსად არისო. რადგანაც ამ გვარის ხმის გავრცელებას შეუძლიან დიდი ზარალი მოუტანოს ამ ახლად დაწყებულს საქმეს, ამიტომ ვაცხადებ, რომ იარმუკობა უკვე დაიწყო 6 მაისს, ვაჭრები ყოველ დღე მოდიან, ვაჭრობა დღითი-დღე ილვიძებს და ვაჭართათვის 24 ქვისა და 143 ხის დუქანია აშენებულიო.“

*** გაზ. „**Русскій Кур.**“-ს სწერენ პეტერბურგიდამ, რომ ცნობილი აბისინიის გმირი რუსის თავისუფალი ყაზახი აშინოვი ამ ჟამად პეტერბურგში ცხოვრობს და სცდილობს, რომ მთავრობისაგან ნება აიღოს კავკასიის შავის ზღვის პირას დასახლებისაო. აშინოვი მიწებსა სთხოვს მთავრობას თავის ამხანაგებისათვის, რომელნიც პატარა აზიიდამ გადმოსახლდებიან რუსეთის დასაცველადაო. ამასთანავე აშინოვს სურს, რომ ისევ ისე თავისუფლად იცხოვრონ როგორც თითონ, აგრეთვე იმისმა ამხანაგებმაც, როგორც აქამომდე პატარა აზიაში სცხოვრობდნენო. აშინოვს სურს ეს თხოვნა თვით ხელმწიფე იმპერატორს მოახსენოსო.

## ტფილისის ქალაქის საბჭო

11 მაისის კრება, ორშაბათი.

წაკითხულ იქმნა წინანდელის კრების განაჩენი. ამის შემდეგ ბ-ნმა ქალაქის თავმა მოახსენა კრებას, რომ კნეინა ნადეჟდა ანდრიევნა დონდუკოვ-კორსაკოვის გარდაცვალება ჩვენთვის საგრძნობელი დანაკლისი უნდა იყოსო, რადგან თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანა მან ჩვენს მხარეს მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანიც არ არის მას აქედ, რაც განსვენებული ჩვენს ქვეყანაში გადმოვიდაო და ღირსეულადაც მოიხვეჭა ქალაქელების სიყვარულიცა და პატივისცემაცაო.

კრება ფეხზე ადგა და მიანდო ქალაქის თავს, გამოუცხადოს ბ-ნ მთავარ-მართებელს თავად დონდუკოვ-კორსაკოვს ქალაქის საბჭოს მწუხარება კნეინას გარდაცვალებისა გამო.

კრება შეუდგა ამის შემდეგ ბ-ნ მ. დოლუხანოვის მოხსენების გარჩევას. ბ-ნი დოლუხანოვი ამტკიცებდა, რომ ცარიელი ადგილები ქალაქისა, განსაკუთრებით მივარდნილ მხარესა, მეტად ძვირად არის დაფასებულიო. მაგალითები მოჰყავდა იმ ტაბელებიდამ, რომელნიც დამფასებელ კომისიების მიერ შედგენილ იყვნენ თავის დროზედ და ამათ ამტკიცებდა, რომ ზოგი სახლი ეზოთი უფრო იაფად დაფასებულია, ვიდრე ცარიელი ადგილები, მაშინ როდესაც სახლი ეზოთი შემოსავალს იძლევა და ცარიელი ადგილი-კი არაო. ამისთვის ბ-ნი დოლუხანოვი თხოულობდა დანიშნულიყო ახალი კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ეს საგანი და თავისი აზრი წარმოუდგინოს საბჭოსაო.

ბევრი ილაპარაკეს ამ საგანზე ბ-ნ დოლუხანოვის აზრის თანახმადაც და წინააღმდეგაც. თითქმის საერთო მონაწილეობა მიიღო საბჭომ ამ საგნის გარჩევაში. ბ-ნმა გ. თუმანიშვილმა (ცენტრ. დამფასებელ კომისიის წევრმა) ვრცლად განუმარტა კრებას, რომ არც ადგილობრივი კომისიებიდა არც ცენტრალური კომისია ერთს იოტასაც არ გადასცდენია თავის დანიშნულებას იმ წესით და რიგით, როგორც მინდობილი ჰქონდაო მათ. თვით ქალაქის საბჭომ სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია წარუგზავნა დამფასებელ კომისიებსაო და თუ რამ უწესობას აღმოჩნდა დაფასებაში, ეს ამ ინსტრუქციის ბრალია და არა კომისიებისაო. თავის აზრი ბ-ნმა თუმანიშვილმა მაგალითებით განმარტა. ამას ბევრნი სხვა ხმოსნებიც ეთანხმებოდნენ.

დიდის ლაპარაკის შემდეგ საბჭომ უარჰყო წინადადება ბ-ნის დოლუხანოვისა.

2) ბ-ნმა კაიდანოვმა (სათვ. კომ. წევრის) მოახსენა კრებას, რომ როცა სათვინანსო კომისია აირჩია საბჭომ, თან ის უფლებაც მისცა მას, რომ სხვებიც მოეწვიათ, რომელთა მონაწილეობასაც სასარგებლოდ იცნობდა ეს კომისია. ჩვენ ვისარგებლეთ ამ უფლებით და რამდენჯერმე მოვიწვიეთ ხმოსანი ბ-ნი მიხეილ მაჩაბელი. ამის თანადასწრება მეტად სასარგებლო აღმოჩნდა ჩვენს კომისიაში, რადგან ბევრი საჭირო ცნობები წარმოგვიდგინა, როგორც კარგმა მცოდნემ ქალაქის საქმეებისამ. შემდეგშიაც, ვფიქრობ, მეტად სასარგებლო იქნება ბ-ნ მაჩაბლის მონაწილეობა ამ კომისიაში და ამიტომაც საბჭომ ჩვენთან ერთად ისიც აირჩიოს ამ კომისიის წევრად.

ბ-ნი თამამშევი (სათვინ. კომ. წევრის) ამასვე ამტკიცებს.

ბ-ნი იონესიანი. მე მხოლოდ წინააღმდეგი ვარ ამ გვარის წესით არჩევისა. კომისია ირჩევს კაცსა, მოდის და უბნობს საბჭოს, გინდათ თუ არა, თქვენც უთუოდ ეს კაცი ამოირჩიეთო. სასურველია, რომ ესეთი წესი არ ჩამოვარდეს ჩვენ არჩევნებში. კომისიას შეეძლო ეთქვა, წევრთა რიცხვს მოვუმატოთო და ჩვენც ერთს წევრს მივუმატებდით, თუ საჭირო იქნე-

---

კარა წყალში გავგრილდე? თავიდან ფეხებამდის რომ ზნეობითს ჭუჭყს მაცხებდეს, მისთანა იარაღს ხელს როგორ მოვკიდებ?.. ლაფის თავზე დასხმას, თუ კი უამისოდ საზოგადო საქმე არ გაკეთდება, ბევრად სჯობია, კაცი თავისთვის იყოს და უმანკოდ დარჩეს. უსინიდისობას მაინც ხომ ველარავინ დასწამებს.

— დიაღ, მიჯექი კუთხეში!.. ნურავისთვის ნურას გააკეთებ და ოქროს გვირგვინს დაგადგმენ!.. დაცინვით უთხრა სვიმონმა.

ედიშერისა და სვიმონის ბაასით საზოგადოება კიდევ უფრო გაცხარდა; მასპინძელმა შეატყო, რომ ამ ბაასიდან კარგი არა გამოვიდოდა-რა, იქნება ბოლოს კიდეც გაებერტყათ ქადაგი სტუდენტი. ვინ იცის, შესაძლებელი იყო მზაკვარს ადვოკატს განზრახაც გამოეწვია ედიშერი ამ უსიამოვნებაში, რომ შემდეგ, როცა გალახავდენ, ნიშნი მოეგო მისთვის. მაგრამ მასპინძელმა იხმარა დარბაისლობა და სტუმრები მიიწვია ვახშამზე. შეიქნა სკამების რახა-რუხი იმ ოთახში, საცა ვახშმად ჯდებოდენ. აღარც ბაასი გახსენებია ვისმე, აღარც შეურაცხყოფა. იმ წუთას თითოეული სტუმარი ცდილობდა, კარგი ალაგი ამოერჩია.

### IV

მთელს საზოგადოებაში მარტო ერთი გულ-უმანკო თანამგრძნობელი გამოუჩნდა ედიშერსა. ეს იყო გიმნაზიაში ახალ კურს დასრულებული მასპინძლის ქალი, ჩვიდმეტის წლისა, მხიარული და მოხდენილი მანდილოსანი. ედიშერის ალტაცებულს სახეს რომ შესცქეროდა, თვალები ველარ მოაშორა. როცა ყველანი მეორე ოთახში გაიკრიფნენ, ეს ქალი თავისუფლად მივიდა ედიშერთან, შეანათა სტუდენტს ციმციმა თვალები და უთხრა: „თქვენ ამ საღამოს ყველაზე ჭკვიანად ლაპარაკობდით!“ ედიშერმა თითქოს მის თვალების ცეცხლს ვერ გაუძლოვო, უნებურად თავი ძირს დახარა და წაილაპარაკა: «მე ახალი არა მითქვამს-რა. ყოველის პატიოსანის და განათლებულის მოღვაწისათვის საანბანო უნდა იყოს ჩემი სიტყვები».

ამ სიტყვებმა ნინო გააწითლა; ედიშერს რომ არ შეენიშნა მისი აღელვება, უცებ გატრიალდა, ორი ნაბიჯი გადადგა ვახშმის საჭმელ ოთახისაკენ, თითქოს გამოუთხოვრად სდომებოდეს განშორება; მაგრამ მერე ისევ მოტრიალდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, და მკრთალი ხმით მიიპატიჟა ვახშამზე.

— გმადლობთ, მე ვახშამს არ გიახლებით—უთხრა ედიშერმა და შლიაპა ხელში აიღო.

ნინო კიდევ უფრო შეკრთა. ველარა უთხრა-რა, მაგრამ არც ეთხოვებოდა. ამ დროს მისდა ბედად მამა მისი გამოვიდა ოთახიდან. «მობძანდით, ედიშერ, სტუმრები კიდეც დასხდენ» —დარბაისლურად, მაგრამ გულ-ცივად მიიპატიჟა ვახშამზე.

— გმადლობთ, არ გიახლებით,— კიდევ უფრო აგდებით უპასუხა ედიშერმა.

— თქვენი ნება არის!—ვარდენმა ხელი გაუწვდინა გამოსათხოვრად. ედიშერმა ძალა-უნებურად ხელი ჩამოართვა და გაშორდა.

ნინო უკან გაჰყვა, თვითონაც კი არ იცოდა, რისთვის მიჰყვებოდა უზრდელს სტუდენტსა; სანამდის ედიშერი კარებს გაიხურავდა, ნინომ მიაძახა: „გთხოვთ, ნუ დაგვივიწყებთ!“ უმანკო ქალის ნაზმა ხმამ ედიშერი დაარბილა და უცებ მოატრიალა... მის წინ მდიდარი გულ-მკერდით შემკობილი ახალგაზდა ქალი იდგა მორცხვად თავ-ჩაღუნული.

— რისთვის გარჯილხართ ჩემს გაცილებაზე?. ჰკითხა ედიშერმა და მერე აღელვებული ხმით განაგრძო: „გთხოვთ, ვიყოთ მეგობრები“ და ხელი გაუწვდინა.

ნინომ არა უპასუხა-რა, მხოლოდ ხელი ჩამოართვა და თვალებით გააცილა კიბეზე. მერე მოტრიალდა და შევიდა ოთახში ვახშამზე დასაჯდომად. მის კავალერებს უკვე მოემზადებინათ მისთვის საუკეთესო ალაგი დედის პირ-და-პირ.

— სად იყავი, შვილო, აქამდიო?— ჰკითხა ნინოს ირინემ. ქალმა ხმა არ გასცა; ნინო დაჯდა თავის ალაგას და დაიწყო ნელა სალფეტკის გაშლა. ის სრულებით არ ნიშნავდა თავის კავალერების მოწიწებით ქცევასა. ერთი ღვინოს უსხამდა, მეორე სხვა-და-სხვა საუზმეებს აწოდებდა; მაგრამ არ იქნა, ვერც ერთმა იმათგანმა ვერ მიიპყრო მისი ყურადღება, ვერ დაიმსახურა მისი ალერსი.

— რა დაგემართათ, დაჯდომას არ მაცლით?.. განა მე ხელები არა მაქვს?.. რა საჭიროა, რომ მაწოდებთ, ტყუილად რატომ ირჯებით? რაც მინდა, ჩემით ავიღებთ.

— ირემმა ირემს ნეკერი გაუწვდინაო, თქვენც ბევრი გაქვთ, მაგრამ ჩემგან გიამებათო—უთხრა კარნეტმა.

— მაგისთანა კომპლიმენტებს მე არ ვიღებ, სხვასთან უფრო გამოგადგებათ,—ამაყად უთხრა ნინომ.

— ყმაწვილო, ხომ გითხარი, ვოენებს ლაპარაკის შნო არა გაქვთ-მეთქი —გადმოულაპარაკა ოხუნჯობით კარნეტს მეორე კავალერმა, რომელიც, ის იყო, გამომძიებლად განეწესებინათ და გულში ასე ფიქრობდა: „ათასი თუმანი მზითევი თუ ექნა ნინოს, სწორედ საჩემოაო“.

— ნინა ვარდენოვნა!—მე, თქვენს ფეხთა მტვერს, აბა მიბძანეთ რა მოგართვათ: ხიზილალა, თევზის ბოლოკი, სარდინკა, თუ ყველიო — ჰკითხავდა ახალგაზდა გამომძიებელი და ამასთანავე ცდილობდა თვალი თვალში გაეყარა.

— არც ერთი არ მინდა. მტერად ქცევას კაცურად იქცეოდეთ, ის გირჩევნიათ,—უპასუხა ნინომ ამასაც გაჯავრებით.

— ჰე! აგრე მოგიხდება, სიამოვნებით დასცინა გამომძიებელს კარნეტმა.

გამომძიებელი ყურებამდის გაწითლდა და ჯავრის მოსაქარვებლად მწვანილს დაუწყო ჭამა ისე თვალ-ხარბად, თითქოს მოშივებული მოზვერი ყოფილიყოს ბალახის საძოვრად გაშვებული.

ვახშამს შემდეგ გაიმართა მოლხენა, თამაში და ლეკური. ნინო ჩაფიქრებული უყურებდა სხვების შექცევას და თვითონ-კი არ იღებდა მონაწილეობას. კავალერები ქორივით უქროდენ გარშემო; ხან ერთი გამოიწვევდა ლეკურის თამაშში ნინოს, ხან მეორე, მაგრამ არც ერთი აღარ შეიბრალა, არც ერთს არ გაჰყვა ლეკურის თამაშში. ერთმა გამოჯავრებულმა კავალერმა კიდეც წაილაპარაკა ჩუმად: „კაცი არ ვყოფილვარ, თუ მაგიერი არ გადავუხადეო... აბა, მოვიდეს კლუბში!.. გამოვიწვევ სათამაშოდ და, როგორც ხელებს გაშლის, მაშინვე თამაშს შევაჩერებო. დარჩება მარტოდ მარტო, არ შერცხვება, მაშ რა იქნებაო?“ მამამაც შენიშნა ნინოს იმ ღამის ჯინიანობა. ის მართლაც სხვა დროს მუდამ მხიარულების მოთავე იყო თავის მამის ოჯახში; ახლა კი უეცრად მოიწყინა. შინ უფრო შენიშნეს იმ ღამეს ამ გვარი უჩვეულო ამბავი. ირინე იძულებული იყო თავის ქალის მაგიერად ბოდიში მოეთხოვა სტუმრებთან: „ნურას უკაცრავად, ბატონებო, ჩემი ნინო ამაღამ შეუძლოდ არის, თავი ასტკივდაო“.

გათავდა ლხინი, სტუმრები წავიდ-

ზოდა, თორემ ეს არ იქნება, კომისია ირჩევს კაცს და იმათი ამორჩეული საბჭომ უნდა მიიღოს.

ბ-ნი მიქელაძე. რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი იმაზედ, ამოვირჩიოთ ბ-ნი მიხეილ მაჩაბელი, თუ არა! საფინანსო კომისიამ საჭიროდ სცნა მისი მონაწილეობა მათ შორის,—კეთილი, მივსცეთ ნება წაიყვანონ ბ-ნი მაჩაბელი. აქ ისეთს არას თხოულობენ, რომ ძნელი დასათანხმებელი იყოს.

ბ-ნი მაჩაბელი. საფინანსო კომისიამ რამდენჯერმე მიმიწვია. მეც დავესწარ მათ სხდომებს და რითაც შემეძლო, სამსახური გავუწიე. დღეს ბ-ნი კაიდანოვი, ამ კომისიის წევრი, ითხოვს, რომ მე მუდმივ წევრად ვიყო არჩეული ამ კომისიაში. თუ დღემდე მიმიღია მონაწილეობა, შემდეგშიაც რითაც კი შემეძლება და რამდენადაც დრო ნებას მომცემს, ჩემს შრომას არ მოვაკლებ, თუ-კი საჭიროება მოითხოვს. მე მხოლოდ არ მესმის, რის წინააღმდეგნი არიან აქ. თუ ამ წესით არჩევა არ უნდათ, მე ვითხოვ ყუთი დადგათ და კენჭის ჩამოტარებით გადაწყვიტოთ ეს საქმე.

კრებამ კენჭის ჩამოუტარებლად ისურვა ამის გადაწყვეტა და ძალიან დიდის ხმას უმეტესობით ბ-ნი მიხეილ მაჩაბელი დანიშნეს საფინანსო კომისიის წევრად.

3) მოხსენება ბ-ნის კ. ბებუთოვისა განსაკუთრებითის კომისიის შედგენის შესახებ, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს: რა მიზეზის გამო დაინგრა ავჭალაში წყლის გამომყვან მილების არხის კედელი.

ბ-ნმა ქალაქის თავმა მოახსენა კრებას, რომ ამ საგანზედ „სტროიტელნი" კომისიას რამდენიმე სხდომა ჰქონდა იმის შემდეგ, რაც ეს გარემოება ადგილობრივ ავჭალაში გამოიკვლიეს, და ამის შესახებ კომისიის აზრიც ამ მოკლე ხანში მოხსენდება საბჭოსაო.

ბ-ნი ბებუთოვი დათანხმდა, რომ ამ მოხსენების განხილვა იმ დრომდე გადაიდოსო.

4) მოხსენება ბ-ნ მიხ. მაჩაბლისა ქალაქის უმთავრეს ადგილებში ქვა-ფენილების დაგების შესახებ.

ბ-ნი მაჩაბელი ამტკიცებდა, რომ მეტად საჭიროა ქალაქმა ყურადღება მიაქციოს ამ საგანს, რადგან ქალაქის ქუჩები ბევრგან უმთავრეს ადგილებში მეტად ცუდს მდგომარეობაშია და ხშირად უშიშრად გავლაც ძნელია ისე, რომ კისერი არ მოიმტვრიოს კაცმაო. დაასახელა რამდენიმე ამისთანა ადგილები, განსაკუთრებით აღმართები აველაბრისა, მთა-წმინდისა და სხვ. ბ-ნი მაჩაბელი იმ აზრისა იყო, რომ სადაც შეუძლებლობისა გამო სახლის პატრონებს ღონე არა აქვთ თავიანთ ხარჯით ქვა-ფენილები დაგონ, იქ ქალაქია ამის მოვალე. ამისათვის მხოლოდ საჭიროა მამულზედ გადასახადი ეპატიოს პატრონს და ამ ფულით ქვა-ფენილება დაიგოსო. მხოლოდ იმის გამოკვლევა, თუ ვის ეპატიოს გადასახადი და ვის არა, იმ კომისიას მიენდოს, რომელიც ამ საგნისათვის კიდეც ამორჩეული ჰყავს საბჭოსაო.

ცოტა ხნის ლაპარაკის შემდეგ ამ საგნის განხილვა გადასდეს იმ დრომდე, როდესაც გამგეობა წარმოადგენს თავის მოხსენებას შესახებ ქვა-ფენილებას დაგებისა იმ ქუჩებზედ, რომელნიც ქალაქის ხარჯზედ იხსნება.

5) მოხსენება ბ-ნის კ. ბებუთოვისა: აღსრულება მე-45 §-ისა ქალაქში შენობებას ასაგებად დადგენილის წესდებულებისა.

ბ-ნმა ბებუთოვმა წაიკითხა ეს §, რომელშიაც ნათქვამაა, რომ ქალაქში ხის შენობების აგება შეიძლება მხოლოდ მოკლეს ვადით, ისიც მთავრობის ნებართვით, და არასოდეს სამუდამოდაო. როცა ეს § წავიკითხეო, სთქვა ბ-ნმა ბებუთოვმა, თვალ-წინ წარმომიდგა ის ხის დუქნები, რომელნიც ქალაქმა გააშენა ამ რამდენიმე სამე წლის წინედ ზოგიერთ მოედნებზედ და რომელნიც ამდენი ხანია აგრე აუშნოებენ ჩვენს ქალაქს. საქალაქო წესდებულების მე-120 და 122 მუხლების ძალით, ეს შენობები უკანონოდ აგებულად უნდა ჩაითვალნონ, რადგან წესდების ამ მუხლებში პირ-და-პირ მოხსენებულია, რომ სახაზინო ქალაქებში ხის შენობების აგება ბ-ნის მინისტრის ნება-რთვით უნდა იყოს და ესე არ მოქცეულა ჩვენი გამგეობა, როცა ამ ხის დუქნებს აშენებდა ქალაქის მოედნებზედაო.

ამ დუქნების გაშენებით უნდოდათ შემწეობა აღმოეჩინათ სოფლის მწარმოებელთათვის, მაგრამ დღემდე, როგორც ვხედავთ, აქ სოფლის მწარმოებელთ ჭაჭანებაც არ ისმის. პირ-იქით, აქ ბევრს ძონძებს, წვრილმანებს, ძველმანებს, ნახშირს, ჩინოვნიკების ძველს მუნდირებს და ბევრ სხვა ამისთანებს ბლომად ჰნახავთო. მე არ შევეხები იმას, თუ როგორ აუშნოებენ ეს დუქნები ქალაქის მოედნებს, ან როგორ ახინძურებენ იმ არე-მარეს და როგორ აფუჭებენ ჰაერსა და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ შენობების გამო ახლო-მახლო მდებარე სახლებმა ფასები დაიკლეს და, რასაკვირველია, ეს გარემოება სასურველია მოსპობილიყოსო. ბევრი კიდევ სხვა მოსაზრებაც მოიყვანა ბ-ნმა ბებუთოვმა თავის მოხსენების გასამართლებლად და დასასრულ ითხოვა, რომ ეს დუქნები უთუოდ მოშალონ ამ ადგილებში მომავალის 1888 წლის იანვრის თთვიდამ.

ბ-ნი იზმაილოვი (გამგ. წევრი) ცდილობს დაარღვიოს ბ-ნ ბებუთოვის აზრი; ამბობს, რომ წესდების წინააღმდეგ გამგეობას არ უმოქმედნია, რადგან მაშინდელი საბჭოს განაჩენი ამ საგნის თაობაზედ თვით ქალაქის „პრისუტსტვიამ" განიხილა და არა უთქვამს-რაო. გარდა ამისა ეს დუქნები წელიწადში ექვსას თუმანს შემოსავალს გვაძლევს და, არა მგონია, რომ საბჭომ უარ-ჰყოს ეს შემოსავალი და მიიღოს ბ-ნ ბებუთოვის წინადადებაო. მაგალითად, ბ-ნმა იზმაილოვმა პეტერბურგის ქალაქი მოიყვანა, სადაც „სენნოის" მოედანი წინად, როცა ზედ შენობები არ იყო, მეტად მავნე იყო იმის არე-მარე ადგილებისათვის და ქალაქმა დღეს სულ შენობებით გაავსოო.

ბ-ნი იოანესიანი. როცა ქალაქი ამ დუქნებს აშენებდა, ესე სთქვა, რომ დროებითი შენობები იქნებაო, მაგრამ როდის უცვლება ვადა ამ შენობებს, ეს კი არ ვიცით. თუ მართლა დროებითია ეს დუქნები, რა ბევრი ლაპარაკი უნდა, მაუცილებლად უნდა დავანგრიოთ. რაც შეეხება იმას, რომ პეტერბურგის ქალაქის მმართველობამ გააშენა „სენნოის" მოედანზედ დუქნებიო, ამაზედ მხოლოდ იმას მოვახსენებთ, რომ ცოტა გარჩევაც მაინც არის იმ შენობების პლანის, რომელიც პეტერბურგმა ააგო თავის მოედანზედ, და იმ უშნო ქოხების შორის, რომელიც ჩვენმა ქალაქმა გააშენა.

ბ-ნი ბებუთოვი ამბობს: როგორც გამგეობა გვარწმუნებს, ჩვენს ქალაქს კარგი შემოსავალი აქვს და ამიტომ იმის შიში არ უნდა გვქონდეს, რომ ქალაქს რაღაც 600 თუმანი მოაკლდებაო.

ბ-ნი მიქელაძე. რაღა დღეს მიაქცია თავის ყურადღება ბ-ნმა იზმაილოვმა ამ დუქნებს და იმასი, რომ კარგი შემოსავლიანი ადგილია, მაშინ როდესაც, როცა ავლაბრელების საჩივარს გარჩევდით, ბ-ნმა პაპოვმა (გამგეობის წევრმა) პირ-და-პირ გამოაცხადა, რომ ავლაბრის ადგილები 400 თუმანს შემოიტანს წელიწადშიო და 200 თუმნად კი გასცა გამგეობამ იჯარით ვიღაცეებზედაო აქ კი ზარალი არ იყო?

საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით გადასწყვიტა ავლაბარში და იარმუკაზე ქალაქის მიერ აშენებული ხის-დუქნები მომავალს 1888 წლის იანვრის თთვიდამ დანგრეულ იქმნასო.

ამის შემდეგ კრება დაიშალა; კრებას დაესწრო 36 ხმოსანი.

## ქართულ გალობის შესახებ

შესრულდა ერთი ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო საქმე.

წარსულის თთვის ცხრამეტს მარტს ქართულ საეკლესიო გალობის აღმადგენელი კომიტეტის წევრებმა მამა დ. ღამბაშიძის თავს-მჯდომარეობით კრება მოახდინეს და მოისმინეს ბ-ნ ფილიმონ ქორიძისაგან ნოტებზედ გადაღებული ქართული საეკლესიო გალობა,—მოვისმინეთ და აღტაცებაში მოვედით! ჩვენი აღტაცება ბევრმა სასიამოვნო მოსაზრებამ და გარემოებამ გამოიწვია. პირველად დავინახეთ ჩვენ კეც-კეცად ნოტების ქაღალდები და ზედ მცოდნის ხელით აღბეჭდილი ნოტები, ქვეშ ქართულის საგალობელის წარწერით. ამის დანახვამ ყველას სიხარული გამოგვიხატა სახეზედ. ეს ერთი უკვდავი საქმე მაინც ჩაიდინა ჩვენმა სასულიერო წოდებამ,.

ჩვენ, ქვემოდ ამისა ხელის მომწერნი, ვიყავით მოწვეულნი შესამოწმებლად ნოტებზედ გადაღებულის გალობისა. მოვისმინეთ და განვიხილეთ საგალობლების თითოეული ხმა ცალკ-ცალკე, დაწყება, მაღალი ბანი და ბანი, და ამ შემოწმების შედეგი მეორე სასიამოვნო გარემოება იყო, რომელმაც ჩვენი აღტაცება აორკეცა. ამ შედარებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენის ძველის გალობის კილო კარგად არის დაცული და არავითარი გადამეტება და ცვლილება არ ეტყობა.

ცხრამეტს მარტს ჩვენ მხოლოდ ოფიციალურად განვიხილეთ, თორემ დიდი ხანია თვალ-ყურს ვადევნებთ ამ ნოტებზე გადაღებულს გალობას. ბევრგან მოგვისმენია წირვის წესი, ნოტის მცოდნე პირებისაგან ეკლესიაში ნაგალობევი, შეგვიდარებია ის უნოტოდ თქმულ გალობასთან და ყოველთვის სიამოვნება გამოგვიელია. ორჯელ ქუთაისში საკათედრო სობოროში აგალობა ბ-ნ ქორიძემ, ერთხელ ზესტაფონში და ერთხელაც მარტვილში პეტრე-პავლობას.

ყოველგან ხალხი ბლომად დაესწრო, განსაკუთრებით იმისთვის, რომ მოესმინათ ნოტებზე გადაღებული გალობა და ყოველგან საზოგადოებამ ფრიადი კმაყოფილება მიიღო.

---

წამოვიდენ, ვაჩეშვილის დარბაზი დაცალიერდა, კანდელებში და ლამპრებში სინათლე ჩაჰქრა. ზალა დაბნელდა. ნინო შევიდა თავის საწოლს ოთახში და დაეგდო ლოგინზე გაუხდელი. მას აქამდის ზარსავით ესმოდა ყურებში ედიშერის სიტყვები: „ყოველის პატიოსანის და განათლებულის კაცისათვის საანბანო უნდა იყოსო ჩემ მიერ წარმოთქმული აზრებიო!" ნინო სირცხვილისაგან იწვოდა, როცა წარმოიდგენდა, რომ ეს აზრები მისთვის საანბანო-კი არა, პირველი გაგონება იყო, თუმცა გიმნაზიის კურს დასრულებულს ეძახდნენ. იმას ეგონა, ტოლი არა მყავსო განათლებაში; მაგრამ ედიშერთან შედარებით ხელ-ახლავე ანბანიდგან გახდომოდა სწავლა-განათლების დაწყება. იმან შეუდარა თავისი უცოდინარობა ედიშერის ბრწყინვალე აზრებს და სასო-წარკვეთილებით ამოიკვნესა: „მე მასთან ლაპარაკის ღირსიც არა ვარო!" ნინოს იმ წუთას ვინ დააჯერებდა, თუ ედიშერს თვითონ მისი გონება-გაუხსნელობა არ უდგა თვალ-წინ, როცა ზემოხსენებული ფრაზები წარმოსთქვა. კიდეც იმისთვის დაუწყო თავის თავს სასტიკი საყვედურები: „რა მრჯიდაო იმასთან თავისუფლად ლაპარაკს. ეგრე მირჩევნია, ახია ჩემზე! რად წავეჩარე, რა ჩემი საქმე იყო მისის აზრების მოწონება, ან დაფასება. თუ მართლა მისი აზრები მომწონდა, რატომ გულში არ ჩავიმარხე? რა საჭირო იყო პირში თქმა?" მრავალი ამისთანათი და ამაზე უფრო მკვახე სიტყვებით სკიცხავდა გულში თავის თავს, იყო აღელვებული და შენანებული. ეს პირველად იყო, რომ მის სიამაყეს ასეთი სასტიკი მათრახი მოხვედროდა. მას აქეთ, რაც ზავედენიაში და შემდეგ გიმნაზიაში კურსი დაესრულებინა და საზოგადოებაში გამოსულიყო,—ნაცნობი და უცნობი მისის ქების მეტს არას აკეთებდენ. ახალგაზდა ადვოკატები, არტილერიისტები, ლინეიცები, თავადნი და წარჩინებულნი, ვინც-კი ეძებდა მისი შერთვით თავი გაებედნიერებინა, ყველანი მისი განათლების, ჭკუის, სილამაზის და სინარნარის მაქებარნი შეიქნენ. ნინოს მამა ადგილ-მამულით და შეძლებით სახელ-განთქმული იყო და ყველამ კარგად იცოდა, რომ ნინოს მდიდარი მზითევი ჰქონდა. ეს როგორ მოხდა, რომ მხოლოდ ედიშერმა არა სცა პატივი არც მის გვარიშვილობას, არც მის სილამაზეს, არც მის განათლებას; თითქოს მასხარათაც აიგდო: ნინოს თავ-მოყვარეობა ამისთანა დაჩაგვრას ვერ შეურიგებოდა...

მეორე დღეს, თორმეტი საათი იყო, დედ-მამა ჩაის მიირთმევდა. ნინო ოთახიდგან არ გამოსულა. მამამ იკითხა, ნინო სად არისო? დედა მისი ადგა, შევიდა მის ოთახში და ძალიან გაუკვირდა, რომ ნინოს ჯერ არც-კი გაჰღვიძებოდა. ხელი შუბლზე მიადვა, შუბლი უხურდა. ვაი თუ, მართლა, თავი ასტკივდაო, გაიელდედამ გონებაში, გამოვიდა ცერებით, რომ არ გაეღვიძებინა და ქმარს უთხრა:

— მგონია, ნინო უქეიფოდ არის!.. დასწყევლოს ღმერთმა ეს ყრილობები და კენჭის ყრა. ღამე ღამეთ აღარ მიგვაჩნია და დღე დღეთა. გამიგონია ღამე რომ დღეთ გადაქცეულიყოს? ეს ერთი კვირაა ამ ვაი-ვაგლახში ვართ. ცალკე ხარჯს ვერ აუვედით და ცალკე მოუსვენრობამ მთელი ოჯახი აგვიფორიაქა. მაინც ეგ ოხრები, ნაცნობი უცნობი, ყველა ერთს კალაპოტში ჩაგვიდგენ. როგორც კი მოვა სადილის დრო, ან ვახშმობისა, შეხედავ, ერთი ურდო შემოხრიალდება!... ეს ერთი კვირა მეტია, ყოველ დღე ჩვენსა ოც-და-ათ კაცზე ნაკლები არ დამხდარა სადილად. გაჯეგეს ჩვენი ოჯახი, მაგათ დაექცათ ოჯახი?

— რა ვქნათ, ჩემო ირინე, მოუბოდიშა ვარდენ ვაჩეშვილმა თავის მეუღლეს. ასეა სოფელი. თუ გინდა რომ სახელი გქონდეს და გავლენა, უნდა შეურიგდე ამისთანა მდგომარეობას". ვარდენ ვაჩეშვილი ამ დროს უეზდის მარშლად იყო. „თუ არ აჭამე და არ ასვი ჩვენებურს კაცს, ხმასაც არ გაგცემს. აი, ახლა ჩემის შემწეობით ბურთი და მოედანი ისევ უწინდელს ბანკის მმართველს დარჩება. მაგიერად, როცა მაგას მეორეთ ამოირჩევენ ბანკის მმართველად, ამ ჩემს ხარჯს ზურგზე დავაწერ. ჩვენი ეწერი აქამდის გდია ტყუილა-უბრალოდ. ეს ოცი წელია, გლეხებს ვეხვეწები, იყიდეთ-მეთქი და თუთხმეტს მანათსაც არ მაძლევენ ქცევაში. ჩვენ შორის რომ ვთქვათ, ქცევა არც-კი ღირს თუთხმეტ მანეთად. აბა, რას მომცემენ, რაც არა მოვა-რა ზედ. ასე გაშინჯე, სახარდნე წნელიც არ მოიჭრება შიგ. როგორც ბანკის მმართველს ხელ-მეორედ ამოვირჩევ, მაშინვე ეწერსაც დავაგირავებ. ქცევაში ექვს თუმანს გამოვიტან სესხად. მერე ბანკს შევატოვებ. აი, დღევანდელს ხარჯს მაშინ გამოვალ. ბანკის მმართველისაგან პირობა მაქვს მოცემული: თუ ისევ ეგ ამოირჩიეს, ჩემი ეწერი, როგორც ვთქვი, იმ ფასად უნდა დამაგირავებინოს".

— კარგი დაგემართოს, თუ აგრე იქნა; მაგრამ მე იჭვი მაქვს. ახლა დაგვახარჯვინებენ, მეკენჭეებს გვაშოვნინებენ, საქმეს გაიტანენ და მერე ცხვირს აგვიბზუებენ, სალაპარაკოდაც ველარ ვიშოვნით. არ იცი მაგათი ამბავი თუ? სტუდენტებისთანა ცრუ, მატყუარა, ავაზაკი და დაუნდობარი ხალხი მე არც კი მინახავს. ვერ ხედავ, შე დალოცვილო, ადვოკატები რა საქმეს სჩადიან?.. მაგ შენმა ნაქებმა ბოზ თვალა სვიმონ კვიმატაძემ რა საქმე უყო შენს ბიძაშვილს, ის მაინც არ გახსოვს?.. აილო ტევრის საჩივრის საქმე, ოც-და-ათი თუმანი წინდაწინ გამოართვა და პალატაში, იმ უსინიდისომ, საჩივრის ვადა დაუკარგა!.. ფული ფულად ჩანთქა და ადგილიც დააკარგვინა. მტერი არ იზამს მაგისთანა საქმეს. დღეს სვიმონ კვიმატაძე შენს სახლში მასპინძელია. დაიკარგონ, მაგათი სინსილა აღარ იყოს!.. მაგათ როგორ დაენდობა პატიოსანი კაცი!..

— ადგილის კურდღელს, ჩემო ირინე, ადგილის მწევარი უნდა. ჩემგან ეგენი ვერას გაიტანენ. მადლობა ღმერთს, თუთხმეტი წელიწადი უჩასტკის ნაჩალიკად ვიყავი. იმდენი სიცოცხლე და ბედნიერება ჩვენს ნინოს ჰქონდეს, რამდენი მაგისთანა ხრიკები მე გამომეცადნოს. წუხელი ბანკის მმართველს სამოც-და-ათი თუმანი შევაწერე მეკენჭეებისათვის. დღეს ორ ათასამდის ფული უნდა გამომიგზავნოს. იმ სამოც-და-ათ თუმანში ოც-და-ათ თუმნის მეტს არ დავარიგებ. დანარჩენი ჩემია; რაც ახლა ხარჯი გავსწიე, იქიდან უნდა ავიღო. ეწერის დაგირავება კიდევ სხვა იქნება.

კარგი დაგემართოს, თუ აგრეა,— მხიარულად ჩაილაპარაკა ირინემ. მერე წამოდგა, მოსამსახურეებს დაუძახა და მისცა განკარგულება ჩაის იარაღი აალაგეთო; სახლები დაასუფთავეთ, სამოვარი კი არ გააციოთ, სანამ ნინო ადგებოდესო...

ცოლ-ქმარნი გაშორდენ ერთმანეთს. ისინი შევიდენ თავ-თავის ოთახში შესაფერის თავდარიგებისათვის.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

ვისის წყალობით არის ეს, რომ დღეს ხელში გვაქვს მშვენიერად ასრულებული შრომა შთამომავლობისათვის გადასაცემად. რასაკვირველია, პირველად ქება და დიდება იმას ეკუთვნის, ვინც გამოიწვია სამღვდელოება ამ კეთილ საქმისათვის, ე. ი. ყოვლად უსამღვდელოესს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს და მასთან თვით სამღვდელოებას, რომელმაც ამ საქმისათვის ხარჯი არ დაიშურა; ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისინიც, რომელთაც მცირე რამ სასყიდლით მთელის ორის წლის განმავლობაში ყოველდღე დილას და საღამოს სამ-სამ—ოთხ-ოთხ საათობით იშრომეს და არ დაზოგეს თავიანთ მხრივ არაფერი: არც დრო, არც ძალ-ღონე და არც ცდა. ჩვენ თვითონ გვინახავს ჩვენის თვალით, როგორ ცდილობდნენ ჩვენი არტისტი-მგალობელი ბ-ნი ფილიმონ ქორიძე და მასთან გადამცემელნი მგალობლები ბ-ნი მთავარ-დიაკვანი რაჟდენ ხუნდაძე, დიმიტრი პალავანიძე და ილიანე წერეთელი! ესენი ისე გულ-მოდგინედ ჰკიდებდნენ ხელს ამ საქმეს, ისე მონდომებულად არჩევდნენ და აწყობდნენ ხმებს, რომ ერთის მხრით მეტის-მეტ სიამოვნებას მოჰგვრიდა მათ შემხედველს და მეორეს მხრით შეგეცოდებოდათ, რომ ასრე თავ-განწირვით შრომობდნენ როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში... და რა იყო ამის მიზეზი? ნუ თუ ის მცირე სასყიდელი, რომელიც მათ დანიშნული ჰქონდათ?—რასაკვირველია, არა. მიზეზი იყო მხოლოდ ერთი: ყოველი მათგანი გამსჭვალული იყო იმ რწმუნებით, რომ ისინი საზოგადო და სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. ეს აზრი ჰქონდა აღბეჭდილი ყოველს მათგანს გულში და ამ აზრმა აასრულებინა მათ ეგ დიდი საქმე ასე მშვენიერად და საქებრად.

ყოველი ქართველი ვალდებულია ამ გვარ წრფელ მშრომელთ გულითადი მადლობა გადაუხადოს და ჩვენც ჩვენის მხრივ უგულითადეს მადლობას ვუძღვნით და მათს შრომას ქართველების წინაშე დიდებულ შრომად და სასიქადულოდ ვაღიარებთ.

უფრო სასიქადულო ღვაწლი იქმნება საზოგადოებისათვის, თუ ამ შრომას მიუმატებენ შემდეგს: ქართულ გალობას აქვს რვა ხმაზედ სხვა-და-სხვა საგალობელი, რომელიც შეადგენს ჩვენის ერის უმთავრესს სიმდიდრეს და დიდებას. ამით შეუძლიან მხოლოდ ერს თავი მოიწონოს, ეს არის რომ მიიქციეს ყველა განათლებულ ერების ყურადღებას და ამას ჩვენ გულ-გრილად არ უნდა ვუცქეროდეთ. რამდენად მეტია სხვა-და-სხვა კილოზედ საგალობელი, იმდენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხს არა მარტო ჩვენს ისტორიაში, არამედ საზოგადო ისტორიაშიაც.

ის, რაც გადაღებულ იქმნა ნოტებზედ, ჯერ კიდევ დიდს ხანს არ დაიკარგება ზეპირ-მცოდნეთაგანაც, მაგრამ, რაზედაც ეხლა ვამბობთ, ის კი შეიძლება ორს, ან სამს წელიწადში დაიკარგოს, რადგან ისე ხშირად არა ხმარობენ და არც ისე ადვილად ხელწამოსაკრავი არის. ჩვენ მოუწოდებთ ყველა ქართველს, დასდვან მცირე რამ სასყიდელი და მით დაავეირგვინონ, როგორც ჩვენის წინაპრების შრომა, ისე თავისი და გადაალებინონ დანარჩენი საგალობელნი არა-უმეტესს 260 მუხლისა, ცალ-კილოზედ საგალობელ წირვის წესისა, რომელიც საჭიროა სასწავლებელში გადასაცემად. არა უმეტესს ვთქვი იმისთვის მოგახსენებთ, რომ ეს აღნიშნული რიცხვი ერთობ დიდის მნიშვნელობისა არის, თორემ გარდუღებელნი კიდევ დარჩებიან სხვებიც. აი, საგალობელნი, რომელნიც საჭირო არიან გადასაღებად: 61) „უფალო ღაღად-ვყავ"—რვა ხმა—(8). 2) „დიდება მამასა"—რვა ხმა—(8). 3) „ანტიფონი" — სამოც-და-ათამდის—(70). 4) „ღმერთი უფალი"—რვა ხმა—(8). 5) თვით ხმოვანი პარაკლიტონის რვა ხმა—სამოც-და-ოთხ მუხლამდის—(64). 6) დასდებელი დღესასწაულების სამოცამდი—(60). 7) ზოგიერთნი სძლის-პირნი, დარჩენილნი თორმეტ საუფლოდგან გარდუღებლად.

ჩვენ, შეიძლება, კიდევ სხვაც რამ გვქონდა სათქმელი, მაგრამ ეგ საგანი ისე პატივ-სადებია, რომ იძულებულ ვყოფთ ჩვენს თავს, აქ შევსდგეთ და ჯერ ამ საგანზედ მოვისმინოთ საზოგადოების აზრი. ასეა თუ ისე, დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ჩვენი თხოვნა არ იქმნება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა იმ საზოგადოების წინაშე, რომელმაც არა ერთხელ დაამტკიცა თავისი თავ-განწირულება საზოგადო საქმისათვის და შემდეგშიაც არ უღალატებს თავის პატიოსანს განზრახვასა.

მგალობელნი:
ხონის წმ. გიორგის სობოროს მღვდელი ვასილ ქუთათელაძე.
აზნაური ნიკო მეძმარიაშვილი.
აზნაური ნიკოლოზ კანდელაკი.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** სოფიიდგან აუწყებენ გაზ. „Politische Correspondenz"-ს დეპეშით, რომ დიდს საერო კრებას აღარ მოიწვევენო. თუმცა მთავრობას უნდოდა რეგენტებისათვის რწმუნების ქაღალდი განეახლებინა, მაგრამ ეხლა იმ აზრს დაადგნენ, რომ საჭირო აღარ არის, რადგან როცა ახლანდელი სარეგენტო მთავრობა იქმნა ამორჩეული, ვადა არ დაუდვიათ ამ ამორჩევისათვისაო. ბევრს დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ ურჩევიათ რეგენტებისათვის, რომ ამ მხრივ შეხედონ საქმეს და ტყუილად ნუღარ მოიწვევენ დიდს საერო კრებასაო.

— უშველებელს ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის კანდიდატთა სიაში კიდევ ორის საკანდიდატო კაცის გვარი ჩაუწერია. თუ დავუჯერებთ „ჰავასის სააგენტოს", ზოგიერთ დეპუტატთ წარსულის დიდის საერო კრებისას განზრახვა აქვსთ, ბოლგარია ცალკე სამეფოდ გამოაცხადონ და მეფედ ან ჰერცოგი მონპანსიე ამოირჩიონ და ან ჰერცოგი შარტრსკიო.

— ვენაში მისულა პრინცი-რეგენტი ბავარიისა. პრინც-რეგენტს განზრახვა აქვს თურმე, რომ თვითონ იკისროს ბავარიის კოროლობა, რადგან კოროლი ოტტონი სულით ავადმყოფია და იმის მორჩენის იმედიც არავისა აქვსო. პრინც-რეგენტსა ჰსურს აგრეთვე თავისი მეორე შვილი ლეოპოლდი, რომელიც ავსტრიის იმპერატორის ქალზედ ერცჰერცოგინა გიზელაზე დაქორწინებული, ბოლგარიის სამთავრო ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადოსო.

**საფრანგეთი.** საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობაზედ კანდიდატად ოთხი კაცი ჰყავსთ სახეში: ფრეისინე, დევე, რუვიე და კლემანსო. ჟურნალ-გაზეთობა არა სწუხს ბ-ნის გობლეს სამსახურიდგან გადადგომის გამო, ხოლო დაბეჯითებით თხოულობს, რომ გენერალი ბულანჟე არ უნდა იქმნეს თავის თანამდებობიდგან გადაყენებული და სამხედრო მინისტრადვე უნდა დარჩესო.

— საფრანგეთში სამინისტრო კრიზისის გამო ყველა იმასა ჰკითხულობს, რა მოუვა ჯენერალს ბულანჟეს, თუ გობლეს სამინისტრო იძულებული გახდეს სამსახურიდგან გადადგომასაო. რადიკალთა ჟურნალ-გაზეთობამ როშფორის მეთაურობით უკვე გამოუცხადა გენერალ ბულანჟეს მოწინააღმდეგეთ, რომ ისე ადვილი არ არის საფრანგეთის წაართვათ ბულანჟესავით ძვირფასი კაცი, როგორც ზოგიერთი პოლიტიკოსები ჰფიქრობენ, რომელნიც ბისმარკს თვალებში შესციცინებიან და ყოველსავე იმის სურვილის თანახმად მოქმედებასა სცდილობენო. ბულანჟეს სამინისტროდგან გამოსვლასო, აცხადებს ბ-ნი როშფორი თავის „L'Intransigeant"-ში, ყველა ჭეშმარიტს საფრანგეთის მამულის-შვილს ეწყინება და შეურაცხ-ყოფად მიიჩნევენო.

**ინგლისი.** ლონდონში საკოლონიო საქმეზედ კრება იყო ამას წინად დანიშნული და, როგორც გაზეთები ამბობენ, ამ კრებას თავისი საქმე უკვე გაუთავებია. კრებას დაუდგენია, რომ ავსტრალიისთვის გემები უნდა შევიძინოთო. ეს გემები უნდა გაკეთებულ და შეაარაღებულ იქმნეს ინგლისის მთავრობის ხარჯით და ამის გამო ავსტრალიის კოლონიები ვალდებულ არიან ყოველ-წლივ ათის წლის განმავლობაში გადუხადონ ინგლისის ხაზინას 1,220,000 მანათი. ამას გარდა ავსტრალიის უკისრნია შეაარაღოს რამდენიმე სიმაგრენი კოროლ გიორგის სრუტეს, პალკ-რაიალის ნავთსადგურის და აგრეთვე კუნძულის ჩეტვერგის მოსაგრებლად. ავსტრალიას განუზრახავს აგრეთვე დაარსოს არტილერიის კორპუსი, რომლის ხარჯიც კოლონიებმა 270,000 მანათი უნდა იკისრონ; ინგლისმა-კი ყოველ-წლივ 150,000 მანეთი უნდა გადაიხადოს ზემოხსენებულ სიმაგრეთა ხარჯად და 60,000 მან. კიდევ ჯარის ხარჯად. ამას გარდა ინგლისმა კოლონიებს 140,000 მანათის ზარბაზნები უნდა მისცესო.

**ოსმალეთი.** სტამბოლიდგან აუწყებენ 2 მაისს გაზ. „Indépendance Belge"-ს: 30 აპრილს კრება იყო ეგვიპტის საქმის გამო, ოთხი საათი გაგრძელდა და ოსმალეთისა და ინგლისის წარმომადგენელთ მიიღეს და მოიწონეს ქვემოხსენებული პროექტი ამ საქმის გადაწყვეტისა. ორი დღე თურმე დიდი ვეზირი ოსმალეთისა და გარეშე საქმეთა მინისტრი ამ პროექტს ჰსთარგმნიან, რომ სულთანს წარუდგინონ და, რასაკვირველია, სულთანზე იქმნება დამოკიდებული, შესცვლის რასმე ამ პროექტში, თუ არა. აი შინაარსი ამ პროექტისა; პროექტი შვიდის მუხლისაგან შესდგება: 1) ყველა ძველი კანონები და ფირმანები, რომელნიც ეგვიპტეში მოქმედებდნენ, ისევე უნდა დარჩნენ ახლანდელის კრების ცვლილებათა თანახმად. 2) ყველა ეგვიპტის სამზღვრები მოხსენებულია ფირმანებში. 3) ეგვიპტეში ნეიტრალიტეტი უნდა მოქმედებდეს, ხოლო სუეზის არხზედ ნება ეძლევათ სიარულისა როგორც ომის დროს, ისე მშვიდობიანობის დროსაც ინგლისსა და ოსმალეთს. 4) ინგლისმა სამის წლის შემდეგ ჯარები უნდა გამოიყვანოს ეგვიპტიდგან, ხოლო ინგლისის ოფიცრები, რომელნიც უფროსობენ ამ ჟამად ეგვიპტის ჯარში, ამ სამის წლის გარდა კიდევ ორი წელიწადი უნდა დარჩნენ თავის თანამდებობაში. 5) ამ განჩინებას ყველა დიდთა სახელმწიფოთ უნდა ხელი მოაწერონ, რომ უფრო მტკიცედ იქმნეს დაცული; ეგვიპტის მიწა-წყალი ხელ-შეუხებელი უნდა იქმნეს, იმ შემთხვევათა გარდა, როცა ამ ქვეყანაში რაიმე არეულობა ასტყდება, ან როცა რომელიმე სხვა სახელმწიფო მოინდომებს ეგვიპტის დაჭერასა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ინგლისის და ან ოსმალეთის ჯარს შეუძლიან ჩაერიოს საქმეში თუ ერთად და თუ ცალკ-ცალკედ. 6) ზოგიერთი კანონები უნდა შეიცვალოს სასამართლოს, ბეჭდვითის სიტყვის და სხვათა შესახებ კრების სურვილის თანახმად. 7) მე-7 მუხლში მოხსენებულია, თუ როდის უნდა იქმნეს ხელ-მოწერილი და დამტკიცებული ეს განაჩენი. სტამბოლში იმ აზრისანი არიან, რომ ეს განაჩენი კრებისა დაუყოვნებლივ იქმნება ხელ-მოწერილი და არც სულთანის მიერ მოელიან რაისამე წინააღმდეგობას. დამტკიცებული და ხელ-მოწერილი იქმნება თუ ხრა განჩინება, სერ გრნი დრუმონდ ვოლფი ეგვიპტეში წავაო.

## გასართობი

**ცამეტის წლის ბავშვის წერილი გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის მიმართ.** ერთის ძველის მეომარის ავგუსტ ვილლკის 13 წლის ყმაწვილმა, დასავლეთ პრუსიაში მცხოვრებელმა, გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს მიჰმართა თურმე შემდეგის წერილით, რომელიც ეხლა დაბეჭდილია გაზეთს. „Konigsberger Zeitung"-ში: უძვირფასესო ხელმწიფევ ჩვენო, კოროლო! ერთი შენი ქვეშევრდომთაგანი უმდაბლესად გილოცავს თქვენს დაბადების უდიდესს დღეს და ევედრება ღმერთს, რომ კიდევ დიდხანს, დიდხანს იყვნეთ ჩვენს კეთილს კოროლად. გთხოვ, მოწყალება მოილო და გამოუგზავნო ცოტაოდე ფული მამაჩემს, რომელიც ფეხში დაიჭრა უკანასკნელ ავსტრიის ომის დროს და მას აქედ დიდის წვალებით შოულობს ლუკმა პურს. ჩემს გარდა შესანახავი მამას კიდევ ჩემი ორი ძმა და ორი და ჰყავს და ხანდის-ხან მშრალი პურიც-კი შემოგვაკლდება ხოლმე. ჩემი უგულითადესი სურვილიც ის არის, რომ მამიჩემისავით ჯარში წავიდე და მტერს ვებრძოლო. საწყალი დედაჩემიც დიდი ხანია რაც ავად არის. ახლა კი გეთხოვები, უძვირფასესო იმპერატორო, და ამასთანავე გწერ ჩემს ვინაობასაც: აგვუსტ ველკი, 13 წლისა.—ამ წერილის შემდეგ იმპერატორმა უბრძანა თურმე, რომ კარგად გამოიძიეთ ველკის ოჯახობის მდგომარეობა და შემატყობინეთო.

**

**ახირებული დუელი.** ახირებული დუელი მომხდარა ამას წინად ინგლისში სამხედრო ექიმის იუნგისა და ერთის აფიცერის შორის. ექიმი იუნგი მდ. ტემზაზედ დასეირნობდა თურმე ქალებთან ერთად ნავით და თან ფლეიტას უკრავდა. შენიშნა თურმე, რომ მათს ნავს უკან სხვა ნავი მოსდევს, რომელშიაც ვიღაც აფიცრები და ქალები სხედან და ყურს უგდებენ ფლეიტას, და დაკვრა შეაყენა. უეცრად ერთმა აფიცერმა დაუყვირა მეორე ნავიდგან.

— რად შეაყენეთ ფლეიტის დაკვრა?

— იმიტომ რომ ასე მნებავდა, უპასუხა ექიმმა.

— მე-კი არა მნებავს და თუ ამ წუთსავე არ განაგრძობთ ფლეიტის დაკვრას, წყალში გადაგიძახებთო, სთქვა აფიცერმა.

ექიმმა იუნგმა ხაზობა არ იცოდა და ამიტომ აილო ფლეიტა და თითქმის ნაპირამდე გასვლამდე უკრავდა. ხოლო გავიდნენ თუ არა ნაპირაზედ, განზედ გაიყვანა თურმე თავის შეურაცხმყოფელი აფიცერი და უთხრა:

— მოწყალეო ხელმწიფევ, მე თქვენი უსირცხვილო ბრძანება ავასრულე, რადგან არ მინდოდა ქალებთან უსიამოვნება მოგვსვლოდა რამე, ხოლო უნდა დამიკმაყოფილოდ მაგ შეურაცხყოფისათვის. თუ თქვენს თავს ვაჟკაცს ეძახით, გთხოვთ ხვალ დილით მოხვიდეთ ამა-და-ამ ალაგას და უნდა გებრძოლოთ. მე მსურს, რომ ჩვენს ბრძოლას არავინ არ დაესწროს.

აფიცერიც დაეთანხმა და დანიშნულ დროზედ მივიდა იმ ალაგას, საცა დუელი უნდა ჰქონიყოთ. დაინახა თუ არა თურმე ექიმმა აფიცერი, ამოიღო ჯიბიდგან დამბაჩა, შუბლში დაუმიზნა აფიცერს და უთხრა:

— თქვენ ამავე წუთას უნდა ჩამოუკრათ ჩემს ფლეიტაზე, ან არა და ეხლავე სულს გაგაფრენინებთო.

ბევრი ილაპარაკა თურმე აფიცერმა, მაგრამ არაფერმა უშველა და იძულებული იყო ეთამაშნა და ეცეკვა მთელი ნახევარ საათი. თამაშობა რომ გაათავა აფიცერმა, ექიმმა ფლეიტა შეინახა და უთხრა თურმე:

— ჩვენ გავსწორდით, მოწყალეო ხელმწიფევ. გუშინ თქვენ ჩემის სურვილის წინააღმდეგ ფლეიტა დამაკვრევინეთ, დღეს მე გათამაშეთ და გაცეკვეთ. ეხლა თუ გნებავსთ გებრძოლოთ, ხოლო ისე-კი, რომ მოწმებიც დაესწრნენ ჩვენს ბრძოლასა. ნახვამდის.

რასაკვირველია, ბრძოლა ჩაიშალა და დუელი აღარ მოხდა.

## დეპეშა

12 მაისი

**ბერლინი.** რუსეთის ოთხ-სარგებლიანის სესხის ქაღალდები დღეის შემდეგ იტრიალებენ აქაურს ბირჟაზედ.

**პარიჟი.** სამინისტრო კრიზისი ჯერ არ გათავებულა და არც იმედია, რომ ჩქარა გათავდესო.

ხმები ისმის, რომ გრევი თხოულობს ბულანჟეს სამსახურიდამ გადადგომასა და ამ ხმების გამო პარიჟის მცხოვრებელნი დიდად არიან აღელვებულნი. დიდი ზედმოქმედება იქონია იმ ამბავმაც, რომ ბულანჟემ თავის საკუთარის ეტლით მიიყვანა პალატამდე კლემანსოვო. ხმა დადის აგრეთვე, რომ გრევის განზრახვა აქვს სამსახურიდამ გადადგესო. როგორც სჩანს, ფრეისინე არა კისრულობს კაბინეტის შედგენას. დღეს დილით გრევიმ დაიბარა პალატის პრეზიდენტი ფლოკე და უთხრა, რომ რაც განვიზრახეთ კაბინეტის შედგენის გამო, ვერა მოხერხდა რაო. გრევიმ მიმართა ფლოკეს მამული-შვილობას და სთხოვა, რომ შენ იკისრე ახალის კაბინეტის შედგენაო. ფლოკემ სთხოვა, 24 საათი დრო მომეცი მოსაფიქრებლადაო.

**ათინა.** კრიტის მდგომარეობა უფრო-და-უფრო უარესი შეიქნა: ოსმალეთმა უარი სთქვა, საერო კრების სურვილს არ ავასრულებო. გუბერნატორი იმუქრება, რომ თუ ქრისტიანები კვლავაც უარზე იქმნებიან და კრებაზედ არ დაესწრობიან, შიშიანობის წესები იქმნება შემოღებულიო. ამ მუქარას არავინ შეუშინდა; ქრისტიანები საწინააღმდეგოდ ემზადებიან.

13 მაისი

**პეტერბურგი.** «Русскій Инвалидъ»-ი გადაწყვეტით უარ-ჰყოფს გაზეთ „Русское Дѣло"-ში დაბეჭდილს კორრესპონდენციას, რომელიც მერვიდამ არის მოწერილი და რომელიც შეეხება იმიერ-კასპიის სამხედრო რკინის გზასა და მის გამყვანსა. გაზეთი ამბობს: კორრესპონდენცია იმ განზრახვით არის დაწერილი, რომ ამ რკინის გზის გაყვანის საქმე სრულიად დასაძრახს საქმედ დაჰსახოსო.

**პარიჟი.** ამბობენ, რომ ახალ სამინისტროს შედგენაში ფლოკე მიიღებს მონაწილეობასაო. ფლოკე შინაგან საქმეთა მინისტრად იქმნებაო და შეიძლება ფლურანსმაც მიიღოს მონაწილეობა და ისევ გარეშე საქმეთა მინისტრობა ჩაიბაროსო; ჯერ არ იციან, ბულანჟეც იქმნება ახალს კაბინეტში, თუ არაო.

**ბრიუსელი.** პირის შეკვრა მუშაობაზე ხელის აღებად ნახშირის მადნებში მომუშავეთა შარლ-რუაში უფრო-და-უფრო ძრიელდება: სხვა-და-სხვა ალაგას გამოჩნდნენ გუნდნი მეამბოხეთა, რომელთაც წითელი დროშები უჭირავთ. თვითოეული გუნდი 100 და 400 კაცისაგან შესდგება. ეს გუნდნი გაჰფანტეს ჯარმა და ჟანდარმებმა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატის კრებანი გადადებულ იქმნა 6 ივნისამდე.